<u>**პროექტი**</u>

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2025 წლის --- ქ. თბილისი

“მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N549 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **“მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N549 დადგენილების** (<u>www.matsne.gov.ge</u>, 20.11.2018, სარეგისტრაციო კოდი 240110000.10.003.020865) მე_5 მუხლს დაემატოს შემდგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

1^1.ავტორიზაციას ექვემდებარეა ამ წესის მე -2 მუხლის მე - 3 პუნქტის „ა - ვ“ ქვეპუქტებით განსაზღვრული სურსათი და ცხოველის საკვები, რომელიც ავტორიზირებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნის სურსათის/ცხოველის საკვების მარეგულირებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ და შეყვანილია ევროკავშირის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეესტრში: <u>https://food.ec.europa.eu/plants/genetically-modified-organisms/gmo-register_en</u>.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

განმარტებითი ბარათი

“მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N549 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი შემუშავებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის “2013 წლის 3 აპრილის კომისიის (EU) №503/2013 განმახორციელებელი რეგულაცია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1829/2003 რეგულაციის შესაბამისად გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების ავტორიზების განაცხადების შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს კომისიის (EC) №641/2004 და (EC) №1981/2006 რეგულაციებში“. გამოყენებულია რეგულაციის 03.04.2013 წლის კონსოლიდირებული ვერსია.

საკანონმდებლო დაახლოება 2003 წლის 22 სექტემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) N1829/2003 რეგულაციასთან „გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“, განხორციელდა 2018 წელს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №549 დადგენილებით „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“.

კომისიის (EU) №503/2013 განმახორციელებელი რეგულაცია, განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს: ა) იმ გენმოდიფიცირებული მცენარეებისთვის, რომლებიც გამოიყენება სურსათში ან ცხოველის საკვებში; ბ) იმ სურსათისათვის ან ცხოველის საკვებისათვის, რომლებიც შიცავენ გენმოდიფიცირებულ მცენარეებს; გ) იმ სურსათისათვის

ან ცხოველის საკვებისთვის, რომელიც წარმოებულია ან შეიცავს გენმოდიფიცირებული მცენარისგან წარმოებულ ინგრედიენტს.

კომისიის (EU) №503/2013 განმახორციელებელი რეგულაცია განსაზღვრავს ისეთ დამატებით, ტექნიკურ მოთხოვნებს, როგორციაა სამეცნიერო კვლევები, გენმოდიფიცირებული სურსათის ან ცხოველის საკვების რისკის შეფასება, დამატებითი მოთხოვნები რისკის შეფასებასთან დაკავშირებით, ბაზრის შემდგომი ზედამხედველობა, გენმოდიფიცირებული სურსათის ან ცხოველის საკვების გამოვლენის, იდენტიფიკაციისა და რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები და სხვა.

გამომდინარე აღნიშნულიდან, მიზანშეწონილია გენმოდიფიცირებული სურსათის ან ცხოველის საკვების ავტორიზაციის პროცესში კომპეტენტურმა ორგანომ იხელმძღვანელოს ევროკავშირის მიერ აღიარებული გენმოდიფიცირებული სურსათის ან ცხოველის საკვების რეესტრით, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდზე: https://food.ec.europa.eu/plants/genetically-modified-organisms/gmo-register_en.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია "2013 წლის 3 აპრილის კომისიის (EU) №503/2013 განმახორციელებელი რეგულაცია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1829/2003 რეგულაციის შესაბამისად გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების ავტორიზების განაცხადების შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს კომისიის (EC) №641/2004 და (EC) №1981/2006 რეგულაციებში". გამოყენებულია რეგულაციის 03.04.2013 წლის კონსოლიდირებული ვერსია.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი ზეგავლენას არ იქონიებს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს პროექტის მიღება ხელს შეუწყობს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის პირველი იანვარი.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-B დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI- B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება,

რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.